ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5180898

ნომერი: AR1785567

თარიღი : 02.11.2020

გაცემის თარიღი : 10.11.2020

გაცნობის თარიღი : 11.11.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რობაქიძის გამზ. N7გ-ს მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი I , N14ა კორპუსის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა რობაქიძე , N 7გ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ორგანიზაცია:
- იქს ვაი ზეტ არქიტექტსი კოდი: 204566656

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ოქტომბრის №5141263 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 02 ნოემბერს №AR1785567 განცხადებით მომართა შალვა ლეკიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 12 ოქტომბრის №5141263 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ოქტომბრის №5141263 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, როზაქიძის გამზ. №7გ-ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მასივი დიღომი, კვარტალი I, №14ა კორპუსის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ქუჩა როზაქიძე, №7გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.032), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 12 ოქტომბრიდან 2023 წლის 12 ივლისის ჩათვლით.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 12 ოქტომბრის №5141263 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1600.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1495.2 კვ.მ., დამხმარე ფართობი 166.1 კვ.მ-ის ნაცვლად 193.5 კვ.მ., საერთო ფართობი 7484.3 კვ.მ-ის ნაცვლად 7406.7 კვ.მ. ასევე, მოთხოვნილია აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით ჩანაცვლება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №882020541427, მომზადების თარიღი: 13/08/2020 16:29:41) №01.13.04.004.032 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „არქიპლიუს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402050588). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20003860, 17/01/2020 წ.) შპს „არქიპლიუს“-ის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ გიორგი ხურციძე. სამსახურში წარმოდგენილია გიორგი ხურციძის მიერ შალვა ლეკიაშვილის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: №200901897, რეგისტრაციის თარიღი: 04.11.2020 წ). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ოქტომბრის №5141263 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1495.2 კვ.მ., დამხმარე ფართობი: 193.5 კვ.მ., საერთო ფართობი: 7406.7 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 12 ოქტომბრის №5141263 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ოქტომბრის №5141263 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 12 ოქტომბრის №5141263 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.